# <u>წინა წლებში ფინალურ გამოცდაზე მოსული საკითხები.</u>

კითხვებზე იმუშავა მარიამ ნუცუბიძემ.

- ➔ მაქსიმალური ქულა- 40;
- ➔ გამოცდის ხანგრძლივობა-180 წთ;
- ➔ დახურული კითხვები- 30;
- ➔ თემა - 1 ათქულიანი.

- ➢ კითხვები ფინალურ გამოცდაზე მოვა ტესტური,დახურული ფორმატით.მოცემულ დოკუმენტში მსგავსი ფორმატი არ არის დაცული,რადგანაც ვიხელმძღვანელე იმ ინფორმაციით,რაც წინა წლის გამოცდიდან გამოიტანეს სტუდენტებმა,შესაბამისად,ალტერნატიური ვარიანტები პასუხებისა არ ვიცი და გთავაზობთ მხოლოდ კითხვასა და ჩემ მიერ გაცემულ პასუხებს.!

- ➢ პასუხებში მითითებულია მუხლები <u>საქართველოს კონსტიტუციიდან.</u>

1) **ბიუროს შემადგენლობა.**

- ბიუროს შემადგენლობაში შედიან: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,თავმჯდომარის მოადგილეები,პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.(მუხლი 57,პუნქტი 1).

2) **რომელი აქტები საჭიროებს კონტრასიგნაციას?**

- ამ კითხვაში გააჩნია ჩამონათვალს.თუმცა აღსანიშნავია,რომ კონტრასიგნაციას საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტის ყველა სამართლებრივი აქტი,გარდა 73 პრიმა მუხლში ჩამოთვლილისა.

3) **ვისი მოთხოვნით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი რეფერენდუმს?**

- საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის,საქართველოს მთავრობის,არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი.(მუხლი 74,პუნქტი 1)

4) **როდის იძენს კანონი გამოქვეყნებიდან ოფიციალურ ძალას?**

- კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს,თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი. (საქართველოს კონსტიტუცია,მუხლი 68,პუნქტი 6)

**5) ვინ ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს?**

- სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა. (საქართველოს კონსტიტუცია,83-ე სეკუნდა მუხლი,მე-3 პუნქტი.)

**6) მოსამართლის უვადოდ განწესებამდე რამდენი წელი შეიძლება იყოს დანიშნული?**

- მოსამართლის უვადოდ განწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით,მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა.(საქართველოს კონსტიტუცია,მუხლი 86,პუნქტი 2)

**7) რის საფუძველზეა აღიარებული საქართველო დამოუკიდებელ,სუვერენულ სახელმწიფოდ?**

- 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე,მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში (ასსრ) და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმისა და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე. (მუხლი 1,პუნქტი1)

**8) უფლებამოსილია თუ არა პრეზიდენტი მოიწვიოს მთავრობის სხდომა და თავმჯდომარეობდეს მას?**

- არ არის უფლებამოსილი.

**9) რა ინტერვალის მანძილზე შეიძლება სესიებს შორის კონსტიტუციური კანონის მიღება და რა ქვორუმია ამისთვის საჭირო?**

- სულ ცოტა სამი თვის ინტერვალით სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/4 ის მხარდაჭერით. (მუხლი 102,პუნქტი 3).

**10) საქართველოს სახელწოდება კონსტიტუციის მიხედვით.**

- საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა “საქართველო” (მუხლი 1,პუნქტი 3) .

**11) ვინ არის საქართველოს საგარეო ურთოერთობებში უმაღლესი წარმომადგენელი?**

- 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში იყო საქართველოს პრეზიდენტი,თუმცა ამჟამად მას აღარ აქვს მსგავსი უფლებამოსილება.შესაბამისად,კონსტიტუციის დღევანდელი რედაქციის თანახმად,ასეთი სუბიექტი არ არსებობს.

**12) როდის იწყებს პარლამენტი კონსტიტუციური კანონპროექტის განხილვას?**

- კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს,რომელიც აქვეყნებს მას საყოველთა-სახალხო განხილვისათვის.პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.(მუხლი 102,პუნქტი 2).

**13) რა შემთხვევაში შეიძლება სამხედრო სასამართლოს შემოღება?**

- სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში.(მუხლი 83,პუნქტი 3).

**14) რას იწვევს პრემიერ-მინისტრის თანდებობიდან გადაყენება?**

- პრემიერ მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას. (მუხლი 79,პუნქტი 7).

**15) ვინ არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი?**

- საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.(მუხლი 69,პუნქტი 2).

**16) ვის აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?**

- საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: საქართველოს მთავრობას,პარლამენტის წევრს,საპარლამენტო ფრაქციას,პარლამენტის კომიტეტს,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს,არანაკლებ 30 000 ამომრჩეველს.(მუხლი 67,პუნქტი 1).

**17) ვის გადაეცემა საკითხი დასკვნისათვის პრეზიდენტის იმპიჩმეტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ საკითხის აღძვრის შემდეგ?**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.(მუხლი 63,პუნქტი 1).

**18) რა თანამდებობის დაკავება შეუძლია პრეზიდენტს?**

- საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს,ეკავოს სხვა თანამდებობა,მათ შორის,პარტიული,ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას,იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის.(მუხლი 72)

**19) როდის არის პარლამენტის უფლებამოსილება შეწყვეტილი?**

- პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე. (მუხლი 50,პუნქტი 4)

**20) როდის ტარდება პრეზიდენტის მორიგი არჩევნები?**

- პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. (მუხლი 70,პუნქტი 9)

**21) შეიძლება თუ არა სესიების ჩატარება არასაპარლამენტო ქალაქში?**

- საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფლის დროებით შეცვლა სხდომის ან სესიის მოწვევის მიზნით დასაშვებია მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს. (მუხლი 48 პრიმა,პუნქტი 2)

**22) როდის იარსებებს ბიკამერული პარლამენტი და რა ერქმევა მის პალატებს?**

- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი.(მუხლი 4, პუნქტი 1)

**23) ვინ ნიშნავს მინისტრებს?**

-პრემიერ-მინისტრი. ( მუხლი 79,პუნქტი 5)

**24) ვისი თანხმობის შემთხვევაში შეიძლება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გაჩხრეკა ან პასუხისმგებლობაში მიცემა?**

- საქართველოს პარლამენტის .(მუხლი 90,პუნქტი 4).

**25) რის შემდეგ დამტიკცდა(ძალაში შევიდა) საქართველოს კონსტიტუცია?**

- საქართველოს კონსტიტუცია ძალაში შევიდა საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან. (მუხლი 104,პუნქტი 1)

**26) ვისი გადაწყვეტილებით ხდება სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება და შეჩერება?**

- სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება,შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, კანონით განსაზღვრული წესით. (მუხლი 84,პუნქტი 5)

**27) ვის არ შეუძლია რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნა?**

- ამ კითხვაში მნიშვნელოვანია ჩამონათვალი,თუმცა რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნა არ შეუძლია არავის,გარდა სამი სუბიექტისა: საქართველოს პარლამენტი,საქართველოს მთავრობა,მინიმუმ 200 000 ამომრჩეველი.(მუხლი 74,პუნქტი 1)

**28) ვის ეკისრება პასუხისმგებლობა კონტრასიგნაციის დროს?**

საქართველოს მთავრობას. (მუხლი 73 პრიმა,პუნქტი 6)

**29) მთავრობის შემადგენლობა.**

- მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან.მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი.(მუხლი 78,პუნქტი 2)

**30) რომელი ორგანო ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიკაციას,დენონსაციასა და გაუქმებას?**

- საქართველოს პარლამენტი.(მუხლი 65,პუნქტი 1)

## წინა წლის ფინალური გამოცდის 10 ქულიანი თემები:

1) კონსტიტუციის არსი და სტრუქტურა,სახეები;
2) საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსი;
3) საქართველოს მთავრობის ფორმირებისა და მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურები;
4) საკანონმდებლო პროცესი;
5) საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის სტატუსი;
6) კონსტიტუციური სამართლის წყაროები საქართველოში( თემა 1; თემა 2 );
7) საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა.